

ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის
ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან
ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციების კორექტირება	9
5. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	10
6. შესყიდული მომსახურებები	10
7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	10
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	10
9. საპროცენტო შემოსავალი	11
10. შეზღუდული ფული	11
11. წინასწარ გადახდილი გადასახადები	11
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
15. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	12
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში“-ის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას.

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი „ILF CONSULTING ENGINEERS AUSTRIA GMBH-ის ფილიალი (წარმომადგენლობა) საქართველოში(შემდეგში - კომპანია)“ ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (მსს ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვგერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული იყო სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება 2021 წლის 16 აპრილს ამ ანგარიშგებებზე.

როგორც 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ნაწილი, ჩვენ ასევე შევამოწმეთ მე-4 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებები, რომლებიც გამოყენებული იყო 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად წარმოდგენის მიზნით. ჩვენ არ ვყოფილვართ ჩართულნი კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში და შევამოწმეთ 2020 წლის მხოლოდ ის კორექტირებები, რომლებიც საჭირო იყო 2021 წლის სრულფასოვანი აუდიტორული პროცესების განსახორციელებლად. შესაბამისად, ჩვენ არ გამოგვითქვამს მოსაზრება 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უხვად საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიბი“ (SARAS-F-550338)

29 აპრილი, 2022

თბილისი, საქართველო



	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	5	1,177,301	1,762,952
სხვა საოპერაციო შემოსავალი		46,334	338,692
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი		1,223,635	2,101,644
შესყიდული მომსახურება	6	(478,123)	(679,367)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა ანაზღაურება		(91,865)	(87,849)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	12	(172,161)	(61,096)
ფინანსური აქტივების რეზერვის აღდგენა	12	38,026	-
სხვა ანარიცხების აღდგენა		-	145,917
მმართველობითი მომსახურების ხარჯები	7	(34,875)	(100,100)
საიჯარო ხარჯები		(76,679)	(74,751)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(214,916)	(256,800)
საოპერაციო მოგება		193,042	987,598
საპროცენტო შემოსავალი	9	43,200	44,341
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, ნეტი		(203,837)	92,865
მოგება დაბეგვრამდე		32,405	1,124,804
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		32,405	1,124,804
სხვა სრული შემოსავალი		-	-
ზრდა სათაო ოფისისთვის მიკუთვნებად ნარჩენ ღირებულებაში		32,405	1,124,804

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 29 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი გურგენიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		30,943	66,492
შეზღუდული ფული	10	18,972	21,783
		49,915	88,275
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		2,460	2,191
წინასწარ გადახდილი გადასახადები	11	106,082	559,874
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	5,704,001	4,155,876
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,883,917	3,622,529
		7,696,460	8,340,470
სულ აქტივები		7,746,375	8,428,745
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	4,652,963	5,330,548
ანარიცხები		-	37,190
სულ ვალდებულებები წმინდა ნარჩენ ღირებულებამდე, რომელიც სათაო ოფისისთვის არის მიკუთვნებული		4,652,963	5,367,738
წმინდა ნარჩენი ღირებულება მიკუთვნებული სათაო ოფისისათვის		3,093,412	3,061,007

8-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		32,405	1,124,804
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		30,218	37,846
ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		5,330	4,400
საპროცენტო შემოსავალი	9	(43,200)	(44,341)
ფინანსური აქტივების რეზერვის აღდგენა	12	(38,026)	-
ფინანსური აქტივების გაუფასურება	12	172,161	61,096
საკურსო სხვაობით გამოწვეული (მოგება)/ზარალი		203,837	(92,865)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		362,725	1,090,940
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		(2,101,074)	442,849
შეზღუდული ფულადი რესურსების შემცირება/(ზრდა)	10	2,811	(21,783)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება/(ზრდა)	11	453,792	(439,542)
მარაგების ზრდა		(270)	(176)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(398,705)	121,809
ანარიცხების შემცირება		(37,187)	(484,756)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები პროცენტამდე და გადასახადამდე		(1,717,908)	709,341
მიღებული პროცენტები	9	43,200	44,341
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		(1,674,708)	753,682
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	5,635
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		-	5,635
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		(1,674,708)	759,317
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		3,622,529	2,526,727
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		(63,904)	336,485
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის		1,883,917	3,622,529

8-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

ILF Consulting Engineers Austria GmbH-ის ფილიალი საქართველოში (შემდეგში - ფილიალი) არის უცხოური კომპანიის წარმომადგენლობა, რომელიც დაარსდა ILF consulting engineers Austria GmbH (შემდეგში-მთავარი ოფისი)-ის მიერ 2011 წლის 19 სექტემბერს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე დაარსებულ იურიდიულ პირს, იგი უცხოური საწარმოს ფილიალია, რომელიც დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 404408244. სათაო ოფისის მშობელი კომპანია არის ILF Group Holding LLC, რომელიც თავად არის LF Beteiligung GmbH-ს შვილობილი კომპანია. აქციონერები არიან: კლაუს ლასერი, კარინ ლასერ-ვაილჰარტენერი, ბერნარდ ლასერი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზირი #15, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროფესიონალური საკონსულტაციო, საინჟინრო, დიზაინერული და ინფრასტრუქტურული მომსახურების გაწევა.

კომპანიის დირექტორია - გიორგი გურგენიძე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" (შემდგომში მის ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მის ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიამ მიიღო მოგება 2021 წელს 32,450 ლარის ოდენობით, (1,124,804 ლარი 2020 წელს) და მთლიანი მოკლევადიანი აქტივები მთლიან მოკლევადიან ვალდებულებებს აღემატებოდა 3,043,498 (2,972,732 ლარი 2020 წელს) ლარით, შესაბამისად ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას მომავალში. კომპანია არ აპირებს ოპერაციების შეწყვეტას შემდგომ პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს, მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია. ნორმალურ ბიზნეს პირობებში, კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. როცა ასეთი ოპერაციებისთვის არ არის აქტიური ბაზარი, გადაწყვეტილებები მიიღება იმის განსაზღვრით ოპერაციები ბაზრის ფასით არის შეფასებული, თუ არა. არსი ამ გადაწყვეტილების მიღების არის არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების დადგენა

4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციების კორექტირება

ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარმოჩენის მიზნით, კომპანიამ შეიტანა ცვლილება კლასიფიკაციაში ცალკეულ ელემენტებად. ეს რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გამოსწორებას. რეკლასიფიკაციამ კომპანიის წინა პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე მოახდინა შემდეგი გავლენა.

გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2020 წელი	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცი რებული თანხა
გაუნაწილებელი მოგება	3,061,007	(3,061,007)	-
წმინდა ნარჩენი ღირებულება	-	3,061,007	3,061,007
მიკუთვნებადი სათაო ოფისისათვის	-	-	-
მთლიანი ვალდებულებები	5,367,738	(5,367,738)	-
სულ ვალდებულებები წმინდა ნარჩენ	-	5,367,738	5,367,738
ღირებულებამდე, რომელიც სათაო ოფისისთვის არის მიკუთვნებადი	-	-	-

გავლენა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და სხვა მთლიან შემოსავალზე:

31 დეკემბერი 2020 წელი	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცი რებული თანხა
მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	1,124,804	(1,124,804)	-
ზრდა სათაო ოფისისთვის	-	1,124,804	1,124,804
მიკუთვნებად ნარჩენ ღირებულებაში	-	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(317,896)	61,096	(256,800)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	-	(61,096)	(61,096)

4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციების კორექტირება (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

გაგლეწა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2020 წელი	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებულ ი თანხა
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	731,124	(21,783)	709,341
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) ფულადი სახსრები	775,465	(21,783)	753,682
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	781,100	(21,783)	759,317
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,644,312	(21,783)	3,622,529

5. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს:

	2021	2020
სატრანსპორტო სექტორი	255,617	588,834
ენერგო სექტორი	474,468	96,115
საკომისიო	447,216	1,078,003
მთლიანი შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1,177,301	1,762,952

6. შესყიდული მომსახურებები

შესყიდული მომსახურებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს:

	2021	2020
დაკავშირებული მხარე	422,770	564,411
სხვა	55,353	114,956
მთლიანი შესყიდული მომსახურებები	478,123	679,367

7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებულია ILF Group Holding Austria GmbH-სა და აიელეფის სხვა კომპანიების მიერ გაწეული მომსახურებები, როგორცაა მარკეტინგი და კომუნიკაცია, დავებისა და რისკების მართვა, კომერციული კოორდინაცია, ტექნიკური ექსპერტიზა, ადამიანური რესურსები და სხვა.

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს:

	2021	2020
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	71,018	62,491
დაზღვევა	58,345	56,613
ცვეთა და ამორტიზაცია	30,218	37,846
ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	19,424	4,400
მივლინება	10,404	-
საწვავი	1,096	803
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	483	3,931
სხვა	23,928	90,716
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	214,916	256,800

9. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი შედგება თიბისი და პროკრედიტ ბანკში განთავსებული ანაზრებიდან მიღებული პროცენტებისგან. 2021 წელს საპროცენტო შემოსავალი იყო 43,200, ხოლო 2020 წელს 44,341 ლარი.

10. შეზღუდული ფული

გრძელვადიანი შეზღუდული ფული წარმოდგენს 2023 წლის 31 ივლისამდე კლიენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საბანკო ანგარიშზე დაბლოკილ თანხებს.

11. წინასწარ გადახდილი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზისო კოდიტო, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივს, შესაბამისად 106,082 და 559,874 ლარის ღირებულებით.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს:

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები მისაღები:		
დაკავშირებული მხარეებისგან	1,760,002	2,044,658
სხვა	4,152,218	2,243,436
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(248,474)	(137,409)
	5,663,746	4,150,685
არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გადახდილი სადაზღვევო ხარჯი	1,683	4,222
ქვეკონტრაქტორისთვის გადახდილი ავანსები	38,572	969
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,704,001	4,155,876
ცვლილებები გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:		
	2021	2020
ნაშთი 1 იანვრისთვის	137,409	76,313
ანარიცხის ზრდა	172,161	61,096
აღდგენა	(38,026)	-
ჩამოწერა	(23,070)	-
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	248,474	137,409

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს:

	2021	2020
ფული ბანკში	1,880,931	3,619,483
ფული სალაროში	2,986	3,046
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,883,917	3,622,529

საბანკო ანგარიშებზე ნაღდი ფულის ნაშთები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც არარისკიანი.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის მოიცავს:

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	4,041,683	4,919,920
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	555,353	310,528
სხვა სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	55,927	100,100
მთლიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,652,963	5,330,548

15. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

ანარიცხების აღიარება არ ხდება, თუ არ არის შესაძლებელი საიმედოობის შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდების განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 464,012 ლარი.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ცხრილებში:

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Consulting Engineers LLC	ILF Beratende Ingenieurue (Including AG)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,616,517	143,484
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	55,927	441,885	3,520,512	79,285
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან			474,467	121,169
შესყიდული მომსახურებები	-	(477,839)	(6,040,049)	(82,546)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(60,647)	-	-	-
საიჯარო ხარჯი	-	-	(76,679)	-

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ILF Group Holding Austria GmbH	ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	ILF Consulting Engineers LLC
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	2,044,658
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	100,100	399,746	4,520,174
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შესყიდული მომსახურებები	-	(7,001)	(557,410)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(100,100)	-	-
საიჯარო ხარჯი	-	-	(74,751)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	(76,562)

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	91,865	87,849

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ ყოფილა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც მოითხოვდა გაშიფრვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ოპერაციების ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსებით გადაყვანის შედეგად, აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციებსაც.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეული საქმიანობისას მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. შემოსავალი გამოხატავს გაყიდვების ნეტ ღირებულებას - დღგ-ს, ფასდათმობისა და უკან დაბრუნების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია აღიარებს ტრანზაქციებთან დაკავშირებულ შემოსავალს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

კომპანია გარიგების ან ხელშეკრულების დასრულების ეტაპს განსაზღვრავს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ყველაზე საიმედოდ განსაზღვრავს შესრულებულ სამუშაოს: საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების დაბიუჯეტებულ დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით. გაწეული ხარჯები არ მოიცავს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა მასალები ან წინასწარი გადახდები.

როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ანაზღაურებადი ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა რწმუნებულის ოპერაციებისა, როდესაც იგი უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას მესამე მხარის საშუალებით. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

საპროცენტო შემოსავალი

გაცემული სესხის პროცენტი აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. იგი ასევე მოიცავს შემოსავალს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტებიდან.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულებისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც კომპანიას არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან და ტექნიკურ მომსახურებასთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობას ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად არ იქნება ამორტიზებული.

ცვეთა ერიცხება ძირითადად საშუალებებს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	7
მანქანა-დანადგარები	7
ავტომობილები	7
სხვა	7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და

აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად

ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშვება მაშინ როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პიოზების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად. დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ აღიარდა იმიტომ რომ ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული მოთხოვნებიდან ერთ-ერთს, ან ორივეს:

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. ინფორმაცია პირობითი აქტივებისა და ვალდებულების შესახებ გაშიფრულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომზადარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას.

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები
- ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა
- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (ა) (i) პუნქტში ნახსენები პირი, ფლობს მნიშვნელოვან ხმის მიცემის უფლებას;
- (ა) (ii) პუნქტში ნახსენებ პირს, აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა
- პირს გააჩნია, როგორც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის, ასევე კონტროლის უფლება.
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრს აქვს კონტროლი ამ საწარმოზე